ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

24664-01-2-201707041410

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/24664
04/07/2017

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის დირექტორს
ბატონ **შალვა კვინიხიძეს**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
შემოსავლების სამსახურის საერთაშორისო
ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს
ბატონ **სამსონ ურიდიას**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის
და სოციალური დაცვის სამინისტროს
აპარატის უფროსს ქალბატონ **სოფიკო ბელქანიას**

ბატონებო / ქალბატონებო,

გიგზავნით გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ცენტრალური აზიის რეგიონული წარმომადგენლობის ნოტას, რომლითაც გვაცნობებენ, რომ 2017 წლის 17-19 ივლისს იგეგმება რეგიონული წარმომადგენლობის ხელმძღვანელის, ქ-ნი აშიტა მიტალის ვიზიტი საქართველოში.

გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ცენტრალური აზიის რეგიონული წარმომადგენლობა მოგვმართავს თხოვნით, რომ აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში შედგეს ქ-ნი აშიტა მიტალის შეხვედრები საქართველოს რამდენიმე უწყებაში, კერძოდ:

- შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციისა და კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტების წარმომადგენლებთან;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან.

გთხოვთ, აღმოგვიჩინოთ დახმარება მ.წ. 17-19 ივლისს ქ-ნი აშიტა მიტალის ვიზიტის ფარგლებში მოთხოვნილი შეხვედრებს ორგანიზების კუთხით. ამასთან, გაცნობებთ, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროში ვიზიტთან დაკავშირებულ საკითხებზე საკონტაქტო პირია საერთაშორისო ორგანიზაციების გაერო-ს სამმართველოს მრჩეველი, შორენა ხაჩიძე (ტელ: 2945000; შიდა ნომერი: 18-04; ელ. ფოსტა: skhachidze@mfa.gov.ge;).

დანართი: 1 გვერდი

პატივისცემით,
თეა მაისურაძე

დეპარტამენტის დირექტორი

საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტი